საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1622-01-2-201705151910

N 01/1622
15/05/2017

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსულტაციის მიზნით გიგზავნით ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადებას.

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილოთ აღნიშნული წინადადება საკრებულოს სხდომაზე და წერილობით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

დანართის სახით წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;
2. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ჩამონათვალი;
3. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში მოსახლეთა რაოდენობა;
4. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა;
5. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი;
6. გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტი;

დანართი: 9 ფურცელი, 2 excel-ის ფაილი.

კახაბერ გულედანი

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722

12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველო

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

0800 ქ.ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ.#2 Shalva Akhaltsikheli str #2 Akhaltsikhe 0800

N 08/78
29/05/2017

78-08-2-201705291034

საქართველოს რეგიონული

განვითარების სამთავრობო

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ კახაბერ გულედანს

ბატონო კახაბერ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 19.05.2017 წლის N1 რიგგარეშე სხდომის ოქმს .

პატივისცემით,

დავით ლომიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

N 31-08
19/05/2017

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე №1 სხდომის ოქმი

ქ. ახალციხე,შალვა ახალციხელის ქ. N2 19. 05. 2017 წ.

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავჯდომარე დავით ლომიძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

1. ვასილი სისვაძე
2. გელა ნოზაძე
3. ალექსი ლაბაძე
4. იოსები კაპანაძე
5. თეიმურაზ ბარძიმაძე
6. ბესიკი გოგსაძე
7. გიორგი ზაქროშვილი
8. თამარი გოგინაშვილი
9. არუთუნ აგაბაბიან
10. ბიძინა გოგოლაძე
11. ლევანი ლაფაჩი
12. რომანი გორგაძე
13. ტიგრან მელქონიან
14. შალვა შენგელია
15. მაია ინასარიძე
16. ირინა გელაშვილი
17. რობერტ მურადიანი
18. გიორგი ზაქროშვილი
19. ტარიელ ტაბატაძე
20. ალექსი ლაბაძე

21. არტაშეს ბალასანიან

22. პაიცარ მანასიან

23. თეიმურაზ უჩიძე

24. სედა ნახაპეტიან

25. მკრტიჩ გინოსიან

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი- ზაზა მელიქიძე;

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე- ალექსანდრე ზედგინიძე;

გაზეთ „სამხრეთის კარიბჭეს“ ჟურნალისტი -ლუბა გიორგაძე

ტელევიზია მე-9 არხის ჟურნალისტი - რუსუდან გვარამაძე.

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 16:00 სთ.

სხდომა გახსნილად გამოაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლომიძემ და დღის წესრიგი გააცნო სხდომის წევრებს .

დღის წესრიგი

- **ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების განხილვის თაობაზე.**

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს საკრებულოს თავმჯდომარის მოხსენება :

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-12 მუხლის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წერილი საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიიდან, ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადების თაობაზე, რასაც თან ახლავს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია.

კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებებს და მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს

(საკრებულოების) შესაბამის შუამდგომლობას საქართველოს მთავრობის მიერ განსახილველად ამზადებს შესაბამისი სამთავრობო კომისია, რომელიც მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციის მიზნით , უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელიც ვალდებულია საკრებულოს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული დოკუმენტაცია და შესაბამის სამთავრობო კომისიას თავისი მოსაზრება წერილობით წარუდგინოს დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა.

მოხსენების შემდეგ, დავით ლომიძემ გააცნო საკრებულოს წევრებს სამთავრობო კომისიის დასაბუთება საკითხთან დაკავშირებით:

ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. ის წარმოადგენს ქვეყანაში მონაწილეობითი დემოკრატიის განვითარების საფუძველსა ქვეყნის მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ამ თვალსაზრისით 2014 წელს განხორციელებული თვითმმართველობის რეფორმა არის საეტაპო მნიშვნელობის წარმატებული ნაბიჯი, რომელმაც შექმნა შემდგომი დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის მყარი საფუძველი.

მანამდე არსებული თვითმმართველობის სისტემა, მიუხედავად არაერთი სახეცვლილებისა არ პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს (მათ შორის თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ნორმებს) ვერც დემოკრატიისა და ვერც მართვის ეფექტიანობის კუთხით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წლების მანძილზე მრავალი პრობლემის წინაშე იდგნენ, მათ შორის, ფინანსური რესურსების ნაკლებობა და ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულება ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა.

რეფორმის შემუშავებისას, საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით, უპირატესობა მიენიჭა ცენტრალური ევროპის ქვეყნების გამოცდილებას, რადგან მათაც ეტაპობრივად მოახდინეს სოციალისტური და საბჭოთა სისტემის გარდაქმნა დემოკრატიული თვითმმართველობის ფორმებად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაყოფილი მუნიციპალიტეტების კვლავ გაერთიანება გამოიწვევს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლას და ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოექცევა ორივე მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ცვლილება არ უნდა იყოს განხილული როგორც თვითმმართველობის დამოუკიდებლობის შესუსტება ან დეცენტრალიზაციის კურსიდან გადახვევა. ჩვენი ხედვით დეცენტრალიზაცია გულისხმობს არა ფრაგმენტაციას, არამედ მეტი უფლებამოსილებებისა და რესურსების გადაცემას

თვითმმართველობებისათვის. ამასთან, აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებში შეიქმნას მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილებების ჯეროვან განხორციელებას და რესურსების ეფექტიან განკარგვას." - დავით ლომიძე სრულად დაეთანხმა სამთავრობო კომისიის დასაბუთებას „ მე პირადად მხარს ვუჭერ ამ ინიციატივას"

აღნიშნა მან და მიმართა საკრებულოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები საკითხის ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

ბესიკ გოგსაძემ - ისაუბრა, იმის შესახებ, რომ თავის დროზე მუნიციპალიტეტების გაყოფამ, ძალიან ბევრი კარგი შედეგი მოუტანა მოსახლეობას, კონკრეტულად თემში გაკეთდა საბავშვო ბაღები, კლუბები, სკვერები ბიბლიოთეკები , მაგრამ ამჟამად მომხრეა გაერთიანების, რადგან მისი აზრით მნიშვნელოვნად შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯი, რაც შემდგომში სხვა პროექტებს მოხმარდება.

რობერტ მურადიანმა - აღნიშნა რომ 2014 წელს ერთერთი ყველაზე კარგი რეფორმა რომელიც ოცნების ხელისუფლებამ განახორციელა ეს იყო თვითმმართველობის რეფორმა, „ქალაქი როგორც არის ჩემი აზრით ასე უნდა დარჩეს, მე 5 მოწვევის საკრებულო წევრი ვარ და რაც მუნიციპალიტეტების გაყოფის შემდეგ გაკეთდა სოფლებში ეს არასოდეს გაკეთებულა, ჩემმა გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ეს რეფორმა ნამდვილად ეფექტური იყო და მე არ ვარ მომხრე მუნიციპალიტეტების გაერთიანების."

ირინა გელაშვილმა - „გაყოფამდე ძალიან ბევრი ვიმსჯელეთ ამ საკითხზე და მაშინ, ჩვენ არ ვიყავით თანახმა გაყოფის, მაგრამ როცა გაიყო და ამდენი თანხა დაიხარჯა თუნდაც მერიის შენობის რეაბილიტაციაზე, გამოდის ტყვილა დაგვიხარჯავს? მე ვკითხულობ მათ დასაბუთებას და აქ მოყვანილი არგუმენტები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მე მაინტერესებს თუ ჩაატარეს გამოკითხვა მოსახლეობაში ამ საკითხზე, ეს არაა ჩვენი გადასაწყვეტი, ეს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს მე არ ვარ მომხრე ამ წინადადების თუ თქვენ როგორც ამბობთ ყველაფერი ასე კარგადაა მაშინ რატომ ერთიანდებით? გამოდის „ჯერ ვმოქმედებთ, შემდეგ ვფიქრობთ." პროტესტის ნიშნად მან დატოვა საკრებულოს სხდომა.

ტარიელ ტაბატაძემ - „მე ვმუშაობდი ათი წელი ამ სტრუქტურაში და რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში სოფლებში გაკეთდა, ამდენი რამ არასოდეს გაკეთებულა. მე მადლობელი ვარ ბატონი ზაზა მელიქიძის, რომელსაც სამუშაო კაბინეტში ვერ ნახავთ, მუხლჩაუხრელად შრომობს და მართლა ბევრი რამ გააკეთა, რასაც ერთიანი მუნიციპალიტეტის პირობებში ნამდვილად ვერ შეძლებდა, გაერთიანების გამო, ბევრი თანამშრომელი სამსახურის გარეშე დარჩება , სოფლის პრობლემები ისევ უკანა პლანზე გადავა და მთელი ბიუჯეტი ქალაქს მოხმარდება, მე პირადად არ დავუჭერ მხარს."

გიორგი ზაქროშვილმა - ისაუბრა , რომ 2014 წელს განხორციელებული თვითმმართველობის რეფორმის შესახებ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტების გაყოფას ჰქონდა როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ფაქტორებიც, მაგ. სოციალური პაკეტების განსხვავება ქალაქსა და თემს შორის, იწვევდა უკმაყოფილებას მოსახლეობის მხრიდან, მაგ: ერთი და იგივე დაავადების მქონე პაციენტები პაკეტების განსხვავების გამო სოციალურ დახმარებას განსხვავებულად იღებდნენ. მიმაჩნია რომ სწორი გადაწყვეტილებაა და მხარს დავუჭერ.“

გელა ნოზაძემ - „მე მიმაჩნია, რომ ეს ინიციატივა ჩვენგან მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან ბიუჯეტი არ მცირდება, აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული ხარჯი შედარებით შემცირდება და მტკივნეული თემაა რომ მოგვიწევს კადრების შემცირება, თუმცა სხვა ბევრ სიკეთეს ველოდებით ამ რეფორმით, ამიტომ მე მხარს ვუჭერ.“

საკრებულოს წევრმა რობერტ მურადიანმა სხდომათა დარბაზი დატოვა.

შალვა შენგელიამ - „მე მივესალმები ამ ინიციატივას.“

ბიძინა გოგოლაძემ - „კოლეგებო მეც მივესალმები, მუნიციპალიტეტების გაერთიანების ინიციატივას, ასეთ შემთხვევაში მმართველობა უფრო გაადვილდება.“ 2014 წელს, როდესაც მოხდა მუნიციპალიტეტების გაყოფა, მაშინვე არ ვეთანხმებოდი ამ საკითხს, რადგან ჩვენ ქვეყანას არ ქონდა იმის ფუფუნება მუნიციპალიტეტები გაეყო ,რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები.

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა მელიქიძემ, მიმართა ტარიელ ტაბატაძეს, მადლობა მოუხადა შეფასებისთვის - რომ გასული სამი წელი ნამდვილად ნაყოფიერი იყო, კერძოდ:

აშენდა და გარემონტდა საბავშვო ბაღები, გაკეთდა სკვერები, ახალგაზრდული ცენტრები, კლუბები, ამბულატორიები,დაიგო გზები, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, თითქმის ყველა სოფელში გამგებლის წარმომადგენელებს აქვთ სამუშაო ოთახები, სადაც ისინი თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ, მოქალაქეები, რომლებსაც გარკვეული სერვისების მიღებისთვის მიმართავდნენ ადმინისტრაციულ ორგანოს (შენობას) აღარ უწევთ

აქ ჩამოსვლა, რადგან ადგილზე შეუძლიათ ბევრი სერვისის მიღება.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში წარმომადგენლობითი ხარჯები მინიმუმამდეა დაყვანილი, გასულ წელს სავარაუდოდ წარმომადგენლობითი ხარჯიდან დახარჯული გვქონდა 4900 ლარი, რაც წინა ხელისუფლების პირობებში ეს თანხა უტოლდება ყოველთვიურ ხარჯს.

„თავის დროზე გაყოფა ვფიქრობ საჭირო იყო და დროულიც, ახლა კი ვეთანხმები შეერთებას, სწორი მენეჯმენტით, ბიუჯეტის სწორი დაგეგმვით და კეთილი ნებით დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. 2016 წელს მხოლოდ 141 ინფრასტრუქტურული პროექტია განხორციელებული ახალციხის მუნიციპალიტეტის მხრიდან და კიდევ ამაზე მეტი მერიის მხრიდან. აქედან გამომდინარე სავარაუდოა, რომ მომავალ მუნიციპალიტეტს აღარ მოუწევს ასეთი მაშტაბური პროექტების განხორციელება და თანხები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მუნიციპალური საწარმოების შექმნისთვის, სადაც უამრავ ადამიანს დავასაქმებთ. ჩვენ გვაქვს უკეთესის მოლოდინი.“ აღნიშნა ზაზა მელიქიძემ

ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას , საკრებულოს თავმჯდომარის მოწოდებით კენჭი ეყარა და მოწონებული იქნა უმრავლესობით:

მომხრე -21
წინააღმდეგი- 1 (ტარიელ ტაბატაძე- ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“).

საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით ლომიძემ, მადლობა გადაუხადა კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას და სხდომა დახურულად გამოაცხადა.
დავით ლომიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1620-01-2-201705151908

N 01/1620
15/05/2017

ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსულტაციის მიზნით გიგზავნით ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ წინადადებას.

გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილოთ აღნიშნული წინადადება საკრებულოს სხდომაზე და წერილობით მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები.

დანართის სახით წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;
2. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ჩამონათვალი;
3. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში მოსახლეთა რაოდენობა;
4. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა;
5. მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი;
6. გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტი;

დანართი: 9 ფურცელი, 2 excel-ის ფაილი.

კახაბერ გულედანი

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველო

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

0800 ქ.ახალციხე, მერაბ კოსტავას ქ.№18

Merab Kostava str.№18 Akhaltsikhe 0800

N 06/102

25/05/2017

102-06-2-201705251903

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარების
სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახაბერ გულედანს

ბატონო კახაბერ,

თქვენი 15/05/2017წლის N 01/1620 მომართვის პასუხად გიგზავნით, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის N 8 სხდომის (რიგგარეშე სხდომის) ოქმს.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,
დავით ლომიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისი №8 რიგგარეშე სხდომისა

#	საკითხების დასახელება	აქტის ნომერი	გვერდის№
1	დღის წესრიგი		
2	ოქმი № 8		
3	„ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის წინადადების შესახებ საკრებულოს მოსაზრების წარდგენის თაობაზე"	ოქმი	

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №8 რიგგარეშე სხდომის

19.05.2017 წ. ქ.ახალციხე, მერაბ კოსტავას ქ.#18

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის წინადადების შესახებ საკრებულოს მოსაზრების წარდგენის თაობაზე"

მომხსენებელი:

- **დავით ლომიძე** - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი 8

19.05.2017 წ. ქ.ახალციხე, მერაბ კოსტავას ქ.#18

სხდომას ესწრებოდნენ:
დავით ლომიძე - საკრებულოს თავმჯდომარე
თამარ გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

შალვა გოგოლაძე - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდიომარე
შოთა ნასყიდაშვილი - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ამზარცუმ ბაბოიან - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურსაკითხთა კომისიის თავმჯდომარე
სამველ ოვეიან - საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
გელა პეტაშვილი - საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

მამუკა მიქელაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება" თავმჯდომარე
ნინო ანანიშვილი - ფრაქციის ,,ერთობა" თავმჯდომარე
მალხაზ გიქოშვილი - ფრაქციის ,,მოძრაობა თავისუფლებისათვის ევროპული საქართველო" თავმჯდომარე,

საკრებულოს წევრები:
1. ზურაბ სადათიერაშვილი
2. ირმა ხნკოიანი
3. კახაბერ ბერიძე
4. ჯიმშერ გოგოლაური

თამარი აბულაძე - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ვლადიმერ ზედგინიძე - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
დავით ტაბატაძე - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

დავით სამხარაძე - საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში
ნინო ინასარიძე - საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში
თეა ბაღდოშვილი - საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში

ნინო მღებრიშვილი - საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტი კადრებისა და წერილების საკითხებში
გიორგი ბეროშვილი - საკრებულოს აპარატის წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის წევრები:
შალვა ტაბატაძე, ომარ ჯაყელი, მურთაზ ყურმაშვილი

სიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:
ბელა მამუკაშვილი, ვერა სვანიძე. გიორგი კედელაშვილი, ანა კორშია, გიორგი ლამპარიძე

თაკო კურტანიძე - ტელეკომპანია მე-9 არხის ჟურნალისტი
თამუნა უჩიძე - გაზეთის „სამხრეთის კარიბჭე“ ჟურნალისტი

სხდომა გახსნა დავით ლომიძემ - საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს სხდომის წევრებს გააცნო „ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის შესახებ" წინადადების განხილვისა და მოსაზრებების წარდგენის შესახებ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 15/05/2017წლის N01/1620 (საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე - კახაბერ გულედანი) მომართვა. აღნიშნა და განმარტა ძირითადი ფაქტორები, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული რეფორმის შედეგად თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას. კერძოდ აღნიშნა, რომ:

- თითმმართველობას გადაეცემა უფრო მეტი უფლებამოსილებები და რესურსები, ექნება ფინანსური, ქონებრივი დამოუკიდებლობა, მოხდება მეტი ფუნქციების დელეგირება ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისათვის (როგორიცაა ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, წყლის, საკანალიზაციო სისტემების და სხვა);
- იზრდება საკრებულოს წინაშე აღმასრულებელი რგოლის ანგარიშვალდებულება - მერი საკრებულოს წარუდგენს მოადგილეების, სამსახურის უფროსების კანდიდატურებს დასამტკიცებლად;
- დღეს არსებული გამგებლის წარმომადგენლის ნაცვლად, იქნება ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი, რომელიც ჩამოაყალიბებს მოსახლეობის მიერ შერჩეულ 10-15 წევრიან სათათბიროს, ტერიტორიული ორგანოს ეფექტური მართვის მიზნით;
- მერის მიერ გადაწყვეტილებების მიღება არ მოხდება ერთპიროვნულად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო.

დავით ლომიძემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა მუნიციპალური სერვისების მიწოდებაში წარმოქმნილი პრობლემები, გაზრდილი არამიზნობრივი დანახარჯები, კერძოდ განმარტა, რომ:

- დღემდე ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სააიპი ახორციელებს თავის უფლებამოსილებას მთლიანი რაიონის მასშტაბით, ხოლო გამგეობის ანალოგიური სააიპი კი უეფექტოა;

- საჯარო ობიექტების მოვლა პატრონობის და სუბსიდირების ხარჯი (დაახლოებით 4 231,600 ლარი), რომლითაც სარგებლობს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობაც (მაგალითად დასვენების და გართობის ცენტრები, სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, თეატრი, მუზეუმი, ადმინისტრაციული შენობები, სპორტული

მოედნები), აწვება მხოლოდ ქალაქის მუნიციპლაიტეტის ბიუჯეტს. ამჟამად ახალციხის თემში მცხოვრები სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელები (სულ 100 ბავშვი) დადის ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საბავშვო ბაღებში, მშობლების მიერ ხდება ხელოვნურად რეგისტრაციის მისამართის ცვლილება, იგივე მდგომარეობაა სკოლებშიც. სოციალური დახმარების პროგრამის შეღავათებით სარგებლობის მიზნით, მოსახლეობის მხრიდან ხდება ხან ერთი მუნიციპალიტეტებში რეგისტრაციის ადგილის ცვლილება;

- იმდენად შერწყმულია ახალციხის გამგეობა და ქალაქ ახალციხის მერია, რომ უკვე სამი წელია ვერ მოხერხდა ქალაქისა და თემის გამიჯვნა. სერიოზული პრობლემებია სივრცითი მოწყობის, ურბანული განვითარების კუთხით, რადგან ორი მუნიციპალიტეტის ინტერესები იკვეთება;

- ამჟამად, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტს აქვს გამოყოფილი 4,531000 ლარი გათანაბრებითი ტრანსფერი, ხოლო ახალციხის მუნიციპლიტეტს (თემი) – 0 ლარი, რაც ნიშნავს, რომ ქალაქს 3 წლის განმავლობაში არ მიეცა განვითარების საშუალება;

- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ინვესტიციები იდება ძირითადად მაღალმთიან სოფლებში.

დავით ლომიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე, აღნიშნა, რომ საკითხი შეფასებულია ექსპერტების მიერ, გათვალისწინებულია რიგი ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება. სთხოვა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

- მალხაზ გიქოშვილმა, საკრებულოს ფრაქციის „მოძრაობა თავისუფლებისათვის ევროპული საქართველო" თავმჯდომარე, გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მუნიციპლაიტეტების გაერთიანებასა და ქალაქის სტატუსის გაუქმების გამო. აღნიშნა, რომ გაერთიანება აუცილებლად გამოიწვევს ამჟამად არსებული საბიუჯეტო სახსრების მკვეთრად შემცირებას და მოყვანილი არგუმენტები მისთვის არაა მისაღები, თვლის, რომ საჭიროა საკრებულო უფრო ძლიერი და ქმედუნარიანი იყოს;
- ზურაბ სადათიერაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის სტატუსის გაუქმებას და ის პრობლემები, რომლებიც მოყვანილია არგუმენტებად, შესაძლებელია აღმოიფხვრას შეერთების გარეშეც, თანხის დაზოგვა შესაძლებელია ააიპ-ებში დასაქმებული გაზრდილი თანამშრომლების ოპტიმიზაციის ხარჯზე;
- მამუკა მიქელაძემ, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება" თავმჯდომარე, აღნიშნა, რომ ეთანხმება მუნიციპალიტეტების გაერთიანებას და ზოგადად თვითმმართველობის რეფორმას, მისთვის უფრო მეტი უფლებამოსილებების გადაცემას;
- თამარ გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აღნიშნა, რომ თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა. მნიშვნელოვნად მიაჩნია თვითმმართველობებისათვის უფრო მეტი დელეგირებული უფლებამოსილებების მინიჭება და დამოუკიდებლობა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება.

- შოთა ნასყიდაშვილმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აღნიშნა, რომ ეთანხმება სამინისტროს მიერ მოწოდებულ წინადადებას. განმარტა, რომ იგივე პროცესი მიმდინარეობს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რადგან მცირე თვითმმართველობებად დაყოფამ პრაქტიკულად არ გაამართლა;

- ჯიმშერ გოგოლაურმა - საკრებულოს წევრი, აღნიშნა, რომ არ ეთანხმება მუნიციპალიტეტების გაერთიანებასა და თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმებას, თვლის, რომ საჭიროა აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის აზრის გათვალისწინება. ასევე იასუბრა მოყვანილ არგუმენტებზე. მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები, მათი არაეფექტური მუშაობის შედეგია.

- ვლადიმერ ზედგინიძემ - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, აღნიშნა, რომ ეთანხმება ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის წინადადებას და თლი,ს რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თვითმმართველობათა უფლებამოსილებები;

- დავით ტაბატაძემ - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი მოადგილე, აღნიშნა, რომ ეთანხმება ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის წინადადებას;

- საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა: მურთაზ ყურმაშვილმა, ომარ ჯაყელმა, შალვა ტაბატაძემ აღნიშნეს, რომ ეთანხმებიან მუნიციპალიტეტების გაერთიანებას, თვლიან, რომ აუცილებელია თვითმმართველობებისათვის გაცილებით მეტი უფლებამოსილებების მიცემა.

კენჭისყრით, ხუთი (მ.გიქოშვილი, ზ.სადათიერაშვილი, ი.ხნკოიანი, ჯ.გოგოლაური, კ.ბერიძე) წინააღმდეგი, 9(ცხრა) მომხრე, ,,ქალაქ ახალციხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საფუძველზე ახალი მუნიციპალიტეტის შექმნის წინადადების შესახებ" საკითხი შეფასდა დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე



ახალციხის მუნიციპალიტეტის სქემატური რუკა
N
აწი
ელიაწმინდა
ჭვიშთა
სვირი
ზოგა
ტატანისი
გიორგიწმინდა
მუგარეთი
ფერსა
გურკელი
წინუბანი
აწყური
თისელი
ტყემლანა
ზიკილია
აგარა
საყუნეთი
მიქელწმინდა
წირა
კლდე
წყრუთი
წნისი
იველიტა
სხვილისი
ზემო სხვილისი
ახალციხე
ჭაჭარაქი
მინამე
დიდი პამაჯი
სამელი
ღრელი
ვალე
ყულალისი
პატარა პამაჯი
ზაკი
ორალი
აბათხევი
ჯულდა
წყალთბილა
აწდა
ანდრიაწმინდა
მუსხი
წყორძა
ურაველი
ხეოთი
პირობითი აღნიშვნები

საიდენტიფიკაციო ნომერი	კატეგორია	დასახლების დასახელება	ადმინისტრაციული ერთეული	ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი დასახლებები
224095903	ქალაქი	ახალციხე	რაბათის უბანი	ქუჩა: პეტრე ხარისჭირაშვილის ქუჩა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, ექვთიმე ათონელის ქუჩა, დავით გურამიშვილის ქუჩა, გოგებაშვილის ქუჩა, ხმალაძის ქუჩა, ციხისძირის ქუჩა, მთაწმინდელის ქუჩა, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა, ივანე ახალციხელის ქუჩა, თამარაშვილის შესახვევი, თამარაშვილის ქუჩა. გზატკეცილი : აბასთუმნის გზატკეცილი.
			ქალაქის ცენტრალური უბანი	ქუჩა: ორბელიანის ქუჩა, თაბუკაშვილის ქუჩა, მიხეილ იაძის ქუჩა, წმ. ანდრია პირველწოდებულის ქუჩა, მანველიშვილის ქუჩა, პეტრე იბერის ქუჩა, ახვლედიანის ქუჩა, დანიელაშვილის ქუჩა, მიქუტიშვილის ქუჩა, ნებიერიძის ქუჩა, სულხან-საბას ქუჩა, ფარნავაზ მეფის ქუჩა, კეცხოველის ქუჩა, წმინდა სვიმონ კანანელის ქუჩა, თუმანიანის ქუჩა, დიდიმამიშვილის ქუჩა, შალვა ახალციხელის ქუჩა, წმინდა ილია მართლის ქუჩა, გამრეკელის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, პაატა ნათენაძის ქუჩა, კოსტავას ქუჩა, ასპინძის ქუჩა, რუსთაველის ს ქუჩა (№1-№63; №2-№86 ჩათვლით).

			შალვა ახალციხელის სახელობის უბანი	გზატკეცილი: ახალქალაქის გზატკეცილი, დავით აღმაშენებლის გზატკეცილი. ქუჩა: გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, ჭონქაძის ქუჩა, ბორჯომის ქუჩა, აბასთუმნის ქუჩა, ადიგენის ქუჩა, ტაბიძის ქუჩა, ტაბიძის ჩიხი, ივანე გვარამაძის ქუჩა, წმინდა დავით და კონსტანტინეს ქუჩა, იოანე პეტრიწის ქუჩა, საკაძის ქუჩა, მარჯანიშვილის ქუჩა, ხაშურის ქუჩა, სარაჯიშვილის ქუჩა, ვარძიის ქუჩა, ვარძიის ჩიხი, 9 აპრილის ქუჩა, სერაპიონ ზარზმელის ქუჩა, საფარის ქუჩა, რუსთაველის ქუჩა (№88-№130; №65-№163 ჩათვლით).
			მარდის უბანი	ქუჩა: მესხეთის ქუჩა, მესხეთის შესახვევი, ბაღინაშვილის ქუჩა, გიორგი სამსონიძის ქუჩა, წერეთლის ქუჩა, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, იოთამ ზედგინიძის ქუჩა, სარგის ჯაყელის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, ფალიაშვლის ქუჩა, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, ერევნის ქუჩა, ქუთაისის ქუჩა, გორის ქუჩა, თევდორე მღვდლის ქუჩა, ჯანაშიას ქუჩა, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა, წიქვაძის ქუჩა, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა, კარლო მებაღიშვილის ქუჩა, კლდიაშვილის ქუჩა, წმინდა ქეთევან დედოფლის ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა, დემეტრე მე-2 თავდადებულის ქუჩა, ნიკორაძის ქუჩა, მაისურაძის ქუჩა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, ივანე ათონელის ქუჩა, ანთიმოზ ივერიელის ქუჩა, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, მეგობრობის ქუჩა, ნონეშვილის ქუჩა, თბილისის ქუჩა.

224095896	ქალაქი		ვალე	ქალაქი ვალე
224095896	სოფელი		აწყური	სოფელი: აწყური, ტყემლანა, თისელი
224095896	სოფელი		აგარა	სოფელი: აგარა, საყუნეთი, ზიკილია, წინუბანი, გურკელი
224095896	სოფელი		ფერსა	სოფელი: ფერსა, გიორგიწმინდა, მუგარეთი
224095896	სოფელი		კლდე	სოფელი: კლდე, წნისი
224095896	სოფელი		წყრუთი	სოფელი: წყრუთი, წირა, მიქელწმინდა
224095896	სოფელი		სხვილისი	სოფელი: სხვილისი, ზემო სხვილისი, ივლიტა
224095896	სოფელი		წყალთბილა	სოფელი: წყალთბილა, ნაოხრები, აბათხევი, წინუბანი, ჯულღა
224095896	სოფელი		პამაჯი	სოფელი: დიდი პამაჯი, პატარა პამაჯი, ორალი, ყულალისი
224095896	სოფელი		მინაძე	სოფელი: მინაძე, ღრელი, ჭაჭარაქი
224095896	სოფელი		ურაველი	სოფელი: ურაველი, მუსხი, ხეოთი
224095896	სოფელი		სვირი	სოფელი: სვირი, ბოგა, ტატანისი
224095896	სოფელი		ელიაწმინდა	სოფელი: ელიაწმინდა, ჭვინთა, ანი
224095896	სოფელი		საძელი	სოფელი: საძელი, ხაკი
224095896	სოფელი		ანდრიაწმინდა	სოფელი: ანდრიაწმინდა, ანდა, წყორძა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი ახალციხე
7 აპრილი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით ჯიქია, დავით მელუა, ასევე ესქპერტები დავით ზარდიაშვილი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები და მედიის წარმომადგნლები.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლემაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". დავით მელუამ აღნიშა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მოწვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თივითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

მონაწილეებს მიესალმა დავით ჯიქია და აღნიშნა რომ ასოციაცია კონსულტაციებს მართავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმოამდგნელებთან, განსაკუტრებით სენსიტიური საკითხია 7 ქალაქის სტატუსი და ამაზე დეტალურად მიმდინარეობს მსჯელობა, მნიშვნელოვანია რომ თვითმმართველობის წარმოამდგენლებმა ამაზე ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, ასოციაცია მუშაობს ამ საკითხზე და მომავალშიც იქნება მსჯელობა.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ახალციხის თემის გამგებელი ზაზა მელიქიძე, რომელაც აღნიშნა რომ ახალციხის თემში მნიშვნელოვანი ცვლილები მოხდა, განვითარდა ინფრასტრუქტურა და მუნიციპალიტეტი ფაქტიურად საკუთარი შემოსავლებით ფინანსდება რომლეიც 2 ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს ის არ არის გაბერილი და სრულად ოპტიმიზირებულია.

გამოსმვლას დაეთანხმა ილია ზარდიაშვილი, ქალაქ ახალციხის ვიცე მერი რომელმაც აღნიშნა რომ ქალაქის სატატუსს ახალციხისთვის უმნიშვნელოვანესია და საჭირო ქალაქის განვითარებისთვის.

ქალაქ ახალციხის საკრებულს თავმჯდომარემ დავით ლომიძემ განაცხადა რომ თუ არ მოხდა თვითმმართველობის შედგომი გაძლეირება მარტო სტატუსი ვერაფრის გარანტია ვერ იქნება. აუცილებელია გათანაბრების ფორმულის კორექტირება რათა ის მუნიციპალიტეტები რომლებიც ახდენენ ადგილობრივი გადასახადების მობილიზებას არ უნდა ზარელდებოდნენ ფინანსურად.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა ალექანდრე სვანიშვილმა რაც შეხებოდა სოფლოდ მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარ დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნებს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნას და თქვეს რომ ეს მოხსნის აუცილებლობას, გამგეობაში იყოს ე.წ. საკოორდინაციო სამსახური და იქ იყვნენ დასაქმებული ის ხალხი რომლებიც სოფლებს არიან მიწერილნი.

დავთ მელუამ გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნედება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართთველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

ახალციხსი თემის გამგებელმა აღნიშნა რომ ზედამხედველობის დღევანდელი სისტემა სრულიად გაუმართავია და დიდ დროს საჭიროებს, მათ ჰქონდათ კონკრეტული შემთხვევა როდესაც საზედამხედველოდ გააგზავნეს აქტი და პასუხი არ მიუღიათ 2 თვის განმავლობაში. შესაბამისად ჩათვალეს რომ აქტი შეთანხმებულია და დაიწყეს მისი აღსრულება, მესამე თვეზე კი მოვიდა შენიშვნები თბილისიდან იმ აქტზე რომელიც უკვე ერთი თვის განმავლობაში იყო აღსრულებაში.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრქუტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ (პრეზენტაცია იხილთ დანართში).

მონაწილეებმა აღნიშნნეს რომ ახლა არ აირს უპრიანი ამგეობის მოდელის ცვლილება და უნდა შენარჩუნდეს ძლიერი მერი რომელსაც ექნება საშუალება სწრაფად და

მოქნილად მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ საჭიროა საკრებულოს გაძლიერება შეიძლება ვიმსჯელოთ საკრებოლოსთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭებაზე.

ადიგენის საკრებულოს თავმჯდომარემ იმედა მღებრიშვილმა გამოთქვა მოსაზრება რომ, არასწორია მექანიზმეი როცა საკრებულოს უმრავლესობას უპირობოდ შეუძლია თავმჯდომარის გადაყენება, მან აღნიშნა რომ იგი იქნა გადაყენებული საკრებუის მიერ ისე რომ არავინ აუხსნა თუ რა იყო მის გადაცდომა, შესაბამისად მან იჩვლა სასამართლოში და ორი კვირაა რაც აღიდგინა თავი, თუმცა ეხლა კიდევ აპირებენ მის გადაყენებას. მან თქვა რომ აუცილებლად უნდა შევიდეს კანონში ცვლილება და საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება უნდა მოხდეს მხოლოდ შესაბამისი თანამდებობის გადაცდომის შემთხვევაში.
ალექსანდრე სვანიშვილმა განმარტა რომ საკრებულოს თავმჯდომარე არის პოლიტიკური თანამდებობის პირი და შესაბამისად მისი არჩევის და გადარჩევის მანდატი აქვს საკრებულოს.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ საჭიროა დეცენტრალიზაციის ხანგძლივადიანი სტრატეგია, რომელიც შეთანხმებული იქნება თვითმმართველობის წევრებთან და ამ სტრატეგიას უნდა ჰქონდეს კანონის სახე. რაც შეეხება ქალაქის, ახალციხის სტატუსს მონაწილებმა სხთოვეს ასოციაციას, რომ ამის შესახებ კვლავ ჩატარდეს ერთი შეხვედრა ახალციხის საკრებულოს წევრების და საზოგადოების მონაწილეობით. შეხვედრა გაშუქდა ტელევიზიით.

მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სახელწოდება და მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი

	გასაერთიანებელი მუნიციპალიტეტები	მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის სახელწოდება	მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრი
1	ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი და ახალციხის მუნიციპალიტეტი	ახალციხის მუნიციპალიტეტი	ქალაქი ახალციხე

მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	სულ	სულ შესაქმნელ მუნიციპალიტეტში
ქ. ახალციხე	18,1	38,8
ახალციხის მუნიციპალიტეტი	20,7	